FXSS სისტემით სარგებლობის წესები

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები 2

დოკუმენტის მიზანი 2

სისტემის აღწერა 2

სისტემაში ჩართვა, ჩართვის კრიტერიუმები და განაცხადის წარდგენა 3

სისტემაში ჩართვის ვადა, ჩართვის საფასურის ოდენობა და სისტემით მომსახურების საფასურის გადახდის პირობები 3

მხარეთა ვალდებულებები 4

მხარეთა პასუხისმგებლობა 4

განცხადებები და გარანტიები 4

სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტა 5

კომუნიკაცია მხარეთა შორის 6

კონფიდენციალურობა 6

პრეტენზიები და დავები 7

სისტემაში ჩართვის განაცხადის ფორმა 7

ტერმინთა განმარტებები

სისტემის ოპერატორი/ბანკი - სს „თიბისი ბანკი“;

სისტემის წესები - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესები და პირობები;

სისტემა - უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფასიანი ქაღალდებით შესრულებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ანგარიშსწორების სისტემა, რომლის მიზანიცაა GSSS სისტემის გავლით მიღებული ანგარიშსწორების დავალებების და კორპორაციული ქმედებების საფუძველზე კლირინგისა და ანგარიშსწორების უზრუნველყოფა,

კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

მესამე პირი - ნებისმიერი ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს, გარდა სისტემის ოპერატორისა და სისტემის მონაწილისა;

სამუშაო დღე - დღე შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა;

შეთანხმება/ხელშეკრულება - ნებისმიერი ხელშეკრულება/შეთანხმება და/ან დანართი მათში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება/დამატება, რომელიც დაიდება/გაფორმდება სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში;

სისტემის მონაწილე / ანგარიშსწორების ბანკი - წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში სისტემაში ჩართული პირი;

სისტემის ოპერატორის მომსახურე ბანკი – იურიდიული პირი, რომელიც სისტემის მონაწილეებს უზრუნველყოფს ანგარიშსწორების ანგარიშებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება მონაწილეთა შორის ანგარიშსწორება;

სისტემაში ჩართვის განაცხადი - სისტემაში ჩართვის მიზნით დაინტერესებული პირის მიერ შევსებული განაცხადის ფორმა;

დაინტერესებული პირი - პირი, რომელიც დაინტერესებულია გახდეს სისტემის მონაწილე და აღნიშნული მოთხოვნით დააფიქსირა შესაბამისი განაცხადი სისტემის ოპერატორთან;

კონფიდენციალური ინფორმაცია - ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად მისი ფორმისა (მათ შორის მატერიალური და ელექტრონული ფორმით), რომელიც წარმოადგენს მხარის და/ან მხარესთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირის ნებისმიერ ინფორმაციას (მათ შორის, ტექნიკური და ფინანსური მონაცემები, კომერციული პირობები, ანალიტიკური მასალები, დოკუმენტები, ხელშეკრულებები, შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტაცია და ა.შ.), რაც არ არის საჯაროდ ცნობილი და რომლის გამჟღავნებამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს მხარეს;

პერსონალური მონაცემები - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით;

სპეციალური ანგარიში - ნომინალური მფლობელობის ანგარიში;

ლორო ანგარიში - საკორესპონდენტო მომსახურების ანგარიში;

ეროვნული ვალუტა - საქართველოს ეროვნული ვალუტა;

უცხოური ვალუტა - აშშ დოლარი (USD)

FXSS (Foreign Currency Settlement System) - უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორების სისტემა

GSSS (Georgian Securities Settlement System) - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა

GCSD (Georgian Central Securities Depository) - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი

NBG (National Bank of Georgia) - საქართველოს ეროვნული ბანკი

RTGS (Real-Time Gross Settlement) - დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა

SWIFT (Society for Worldwide Financial Telecommunication) - მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება

DvP (Delivery versus Payment) - ფასიანი ქაღალდისა და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების ერთდროულად განხორციელების პრინციპი

დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია FXSS სისტემის მოკლე აღწერა, ასევე იმ წესების და პირობების განსაზღვრა რომელიც უნდა იქნეს დაცული FXSS სისტემის მონაწილეების და სისტემის ოპერატორის მიერ.

სისტემის აღწერა

FXSS სისტემა არის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფასიანი ქაღალდებით შესრულებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ანგარიშსწორების სისტემა, რომლის მიზანიცაა GSSS სისტემის გავლით მიღებული ანგარიშსწორების დავალებების და კორპორაციული ქმედებების საფუძველზე კლირინგისა და ანგარიშსწორების უზრუნველყოფა.

FXSS სისტემის მეშვეობით შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების განხორციელება:

- ფასიანი ქაღალდების პირველადი გამოშვების(აუქციონი)/გაყიდვის ანგარიშსწორება
- ფასიანი ქაღალდის მეორადი გაყიდვის ანგარიშსწორება
- რეპო გარიგების დადებასთან დაკავშირებული ფულის მოძრაობა
- ფასიანი ქაღალდის დაგირავებასთან დაკავშირებული ფულის მოძრაობა

კორპორაციულ ქმედებებთან დაკავშირებული ფულადი ანგარიშსწორება:

- კუპონის გადახდა;
- დივიდენდის გადახდა;
- ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა;
- სხვა კორპორაციული ქმედებები.

FXSS სისტემა GSSS სისტემიდან შეტყობინების სახით იღებს ანგარიშსწორების დავალებებს. მიღებული დავალებების საფუძველზე, სისტემის ოპერატორის ძირითად საბანკო სისტემაში, ანგარიშსწორების ბანკების სპეციალურ ანგარიშებსა ან/და GCSD-ის ტექნიკურ ანგარიშს შორის ანგარიშსწორება ხდება ავტომატურად. დამუშავების წარმატების ან წარუმატებლობის სტატუსი ავტომატურ რეჟიმში ეგზავნება GSSS სისტემას. წარმატებული დამუშავების შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი SWIFT-ის ქსელით, MT900/MT910 შეტყობინებას უგზავნის ანგარიშსწორების ბანკ(ებ)ს.

GSSS სისტემას და FXSS სისტემას შორის ინფორმაციის მიმოცვლა ხორციელდება MT შეტყობინებების საფუძველზე.

სისტემის საოპერაციო საათებია:

9:40 საათიდან 18:40 საათამდე.

GSSS-ში ტრანზაქციის გენერირების შედეგად FXSS-ში გაგზავნილი შესაბამისი ანგარიშსწორების დავალებაზე FXSS-ს მიერ რეაგირების/დავალების დამუშავების დაწყება ხდება დავალების მიღებისთანავე;

GSSS-ში ტრანზაქციის გენერირების ბოლო ვადა არის 17:00 (FX cutoff) სამუშაო დღეს;

FXSS-ის მიერ ანგარიშსწორების დავალებაზე პასუხის გაგზავნის ბოლო ვადაა მიმდინარე სამუშაო დღის 18:00 სთ-მდე (DvP cutoff).

სამუშაო დღეს 17:00 (FX cutoff)-ის შემდეგ GSSS სისტემის მიერ გაგზავნილ დავალებებს FXSS სისტემა აღარ მიიღებს.

სისტემა არ მუშაობს შაბათ-კვირას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სადღესასწაულო დღეებში.

FXSS სისტემის მონაწილეები არიან საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, RTGS სისტემის მონაწილე კომერციული ბანკები.

FXSS სისტემის მესაკუთრე და ოპერატორია ბანკი.

სისტემაში ჩართვა, ჩართვის კრიტერიუმები და განაცხადის წარდგენა

- სისტემის მონაწილე შეიძლება გახდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი.
- სისტემის ოპერატორის მომსახურე ბანკს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“.
- GSSS სისტემის მონაწილე, როგორც ანგარიშსწორების ბანკი, ვალდებულია სს „თიბისი ბანკში“ ფლობდეს ლორო ანგარიშს ლარში.
- სისტემის მონაწილეს ბანკში ასევე გაეხსნება ერთი სპეციალური ანგარიში უცხოურ ვალუტაში, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ანგარიშსწორებისთვის.
- სისტემაში ანგარიშსწორების ბანკის ჩართვა უნდა მოხდეს მხოლოდ NBG-სა და GCSD-ის წინასწარი ინფორმირების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებით.

იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირისათვის მისაღებია FXSS სისტემის წესებით დადგენილი ყველა პირობა და იგი აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს, დაინტერესებული პირი უგზავნის სისტემის ოპერატორს შევსებულ განაცხადს FXSS სისტემაში ჩართვის შესახებ მოთხოვნით შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: settlements@tbcbank.com.ge ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართიდან.

საბოლოოდ სისტემის ოპერატორსა და დაინტერესებულ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება და დაინტერესებული პირი ერთვება სისტემაში.

სისტემაში ჩართვის ვადა, ჩართვის საფასურის ოდენობა და სისტემით მომსახურების საფასურის გადახდის პირობები

- სისტემის ოპერატორსა და სისტემის მონაწილეს შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში სისტემის მონაწილე ჩაერთვება სისტემაში;
- სისტემით სარგებლობის საფასური თითოეულ სპეციალური ანგარიშისათვის შეადგენს თვეში 50 ლარს.
- სისტემის ოპერატორის მიერ მომსახურების საფასურის ჩამოჭრა განხორციელდება ყოველი თვის ბოლოს უაქცეპტოდ სისტემის მონაწილის ლორო ანგარიშიდან მისი დამატებითი თანხმობის გარეშე. სისტემის მონაწილის ლორო ანგარიშზე

საკმარისი ნაშთის არ არსებობის შემთხვევაში მომსახურების საფასურის ჩამოჭრა განხორციელდება სისტემის ოპერატორის მომსახურე ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან (გარდა სპეციალური ანგარიშისა), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილის კუთვნილი თანხა სხვა ვალუტაშია, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოახდინოს თანხის კონვერტაცია საფასურის ჩამოჭრის დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად;

მხარეთა ვალდებულებები

სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია FXSS სისტემის გამართულ მუშაობაზე, მიღებული შეტყობინებების შეუფერხებლად დამუშავებაზე, GSSS-თვის დამუშავების სტატუსისა და სისტემის მონაწილეთათვის MT900/MT910-ის გაგზავნაზე.

სისტემის მეშვეობით ანგარიშსწორების ბანკების მიერ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე განხორციელდება მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ფულად ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ტრანზაქციები, რაზეც პასუხიმგებლობას იღებს ანგარიშსწორების ბანკი;

სისტემის მონაწილე პასუხისმგებელია და ვალდებულია მის კუთვნილ სპეციალურ ანგარიშზე უზრუნველყოს საკმარისი ნაშთის არსებობა, არანაკლებ მის მიერ GSSS-ში შესაბამის ანგარიშებზე განსაზღვრული სავაჭრო ლიმიტ(ებ)ისა, იმ კლიენტების მიერ განხორციელებული ოპერაციების (მათ შორის DvP / კორპორაციული ქმედებები) ანგარიშსწორებისათვის, რომლებსაც ემსახურება აღნიშნული ანგარიშსწორების ბანკი.

სისტემის ოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში, ანგარიშსწორების ბანკი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია საკუთარი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ. ამასთან, სისტემის მონაწილე თავად არის ვალდებული და პასუხისმგებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით მოიპოვოს შესაბამისი თანხმობა.

სპეციალურ ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს აღნიშნული ანგარიშის მფლობელი სისტემის მონაწილე.

ლორო და სპეციალური ანგარიშების გახსნა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკში მოქმედი პროცედურის მიხედვით.

სისტემის მონაწილე ვალდებულია სისტემის ოპერატორის მიერ გაგზავნილი MT900/MT910-ის საფუძველზე შეასრულოს შესაბამისი ოპერაცია.

სისტემის მონაწილე ვალდებულია სრულად გადასცეს თავის კლიენტებს სპეციალურ ანგარიშებს შორის თანხების გადარიცხვა/ჩარიცხვისას მიღებულ MT900 / MT910 შეტყობინებებში მითითებული ინფორმაცია.

სისტემის ოპერატორი ვალდებულია GSSS სისტემიდან მიღებულ გადარიცხვის ყველა MT შეტყობინებაში მიუთითოს CSD ტრანზაქციის რეფერენსი.

FXSS სისტემის მონაწილე ვალდებულია FXSS სისტემიდან მიღებულ შეტყობინებებში მითითებული CSD ტრანზაქციის რეფერენსი უცვლელად გადასცეს თავის კლიენტებს;

მხარეთა პასუხისმგებლობა

იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მონაწილის ლორო ანგარიშზე არ აღმოჩნდება სისტემით სარგებლობის საფასურის ოდენობის თანხა, ან აღნიშნული ანგარიშიდან შეუძლებელია შესაბამისი თანხების ჩამოჭრა, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს ერთჯერადი პირგასამტეხლოს გადახდა, ჩამოსაჭრელი თანხის 1 (ერთი) %–ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლოს გადახდა, შესაბამისი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული), ჩამოსაჭრელი თანხის ჯამური მოცულობის 0.5 (ნული მთელი ხუთი მეათედი) %-ის ოდენობით.

სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სისტემის მონაწილეს მის მიერ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო მიყენებული ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად, ნებისმიერი მესამე პირის მიერ დაკისრებული გადასახდელი.

სისტემის ოპერატორი გათავისუფლებულია ყოველგვარი პირგასამტეხლოს გადახდის/ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ სისტემის შეფერხება და/ან ხარვეზი გამოწვეულია სისტემის ოპერატორისგან ან/და მისი ქვეკონტრაქტორისაგან (ასეთის არსებობისას) დამოუკიდებელი მიზეზით.

პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების და/ან დარღვევის აღმოფხვრისაგან და/ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

განცხადებები და გარანტიები

სისტემის მონაწილე:

- წარმოადგენს გადამხდელუნარიან პირს, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის აღნიშნული წესების პირობების დაცვას/ჯეროვან შესრულებას;
- მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს და ხსენებული მოთხოვნები დაცული იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე.

- იცავს ადამიანს უფლებებსა და თავისუფლებებს როგორც აბსოლუტურ ღირებულებას და თავის ბიზნეს საქმიანობას წარმართავს აღნიშნული ღირებულებების დაცვით. საქმიანობის პროცესში არ არღვევს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს, ხელს არ უწყობს მონურ შრომას და მკაცრად გმობს პირთა შორის დისკრიმინაციას.
- თავის საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავს კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითხებს უწევს მუდმივ კონტროლს;
- იმ შემთხვევაში, თუ სისტემით განხორციელებული ტრანზქციისას ერთ-ერთი მხარისთვის ცნობილი გახდა ფიზიკური პირის/ების პერსონალური მონაცემი, მეორე მხარე ვალდებულია, პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ წინამდებარე სისტემის ფარგლებში კონკრეტული მიზნის მისაღწევად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის ასევე მონაცემთა დამუშავება აუცილებელ ფარგლებს მიღმა. პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა ვრცელდება ნებისმიერ პერსონალურ მონაცემზე მიუხედავად იმისა რომ თუ რა წყაროდან გახდა ცნობილი მხარისათვის აღნიშნული პერსონალური მონაცემი. მხარე ვალდებულია თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს მეორე მხარეს პერსონალური მონაცემების ნებისმიერ ფორმით დამუშავების შედეგად, ზიანის ოდენობის მიუხედავად, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხარისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში.
- თვითონ, მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე მისი ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირები (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე მათ შორის წარმოადგენს ნებისმიერ პირს რომელსაც ბანკის შეფასებით, მათ შორის სანქციის მიზნიდან გამომდინარე, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პირზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს:
  - ✓ არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთის სანქცია მათ შორის მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას).
  - ✓ არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;
  - ✓ პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები
  - ✓ იმ შემთხვევაში თუ ზემოხსენებული განცხადება აღმოჩნდება არასწორი და სისტემის მონაწილის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სანქციის დარღვევას/გვერდის ავლას ან/და აღნიშნიშნულის გამო ბანკის შეფასებით იარსებებს სისტემის მონაწილეზე, მისი დამფუძნებლების, მენეჯმენტის ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრ(ებ)ზე, ასევე სისტემის მონაწილის ბენეფიციარ მესაკუთრე(ებ)ზე ან/და მათთან აფილირებულ პირ(ებ)ზე სანქციის გავრცელების რისკი ან/და რომელიმე ზემოხსენებულ პირზე გავრცელებული იქნება სანქცია, ბანკს გარდა ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ქმედებებისა, ასევე უფლება ექნება იმოქმედოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული სანქციის შესაბამისად და განახორციელოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ანდა ორგანოს მიერ დაწესებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, მათ შორის არ მისცეს სისტემის მონაწილეს ნებისმიერი თანხის/აქტივების განკარგვის ან/და მართვის შესაძლებლობა.

სისტემაში მონაწილეობის შეწყვეტა

სისტემაში ანგარიშსწორების ბანკის მონაწილეობის შეწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ **NBG**-სა და **GCSD**-ის წინასწარი ინფორმირების შემდგომ, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებით.

სისტემის მონაწილე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს სისტემაში მონაწილეობა და ასევე შეწყვიტოს სისტემის ოპერატორთან სისტემით მომსახურების ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების/შეთანხმების მოქმედება სისტემის ოპერატორისათვის არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე. სისტემის მონაწილე ისევე, როგორც სისტემის ოპერატორი ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრალურ დეპოზიტარს.

სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ცალმხრივად შეუწყვიტოს/შეუზღუდოს სისტემის მონაწილეს სისტემასთან წვდომა თუ:

- სისტემის მონაწილე დაარღვევს აღნიშნულ წესებს და/ან ხელშეკრულების ნებისმიერ პირობას და სისტემის ოპერატორის მიერ შესაბამისი შეტყობინების/გამაფრთხილებელი წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში არ აღმოიფხვრება ზემოხსენებული დარღვევა;
- სისტემის ოპერატორი ნებისმიერი მიზეზით დაკარგავს ოპერირების უფლებას და/ან საკუთარი ინიციატივით / საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტართან შეთანხმებით სისტემის ოპერირების უფლებას, რის შესახებაც (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთობა/ხელშეკრულება წყდება მომენტალურად) არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით აცნობებს სისტემის მონაწილეს;
- დაუყოვნებლივ, თუ ნებისმიერი მიზეზით/ფორმით შეწყდება/ბათილად იქნება ცნობილი სისტემის ოპერატორსა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება;
- სისტემის მონაწილის მიმართ დაიწყება ლიკვიდაციის პროცესი, რაც ხელს შეუშლის/შეაფერხებს სისტემაში მონაწილეობას (იგულისხმება მონაწილეობის შეზღუდვა და არა შეწყვეტა);
- მომდევნო სამუშაო დღეს თუ სისტემის მონაწილის მიერ დარღვეულ იქნება აღნიშნული წესებით და პირობებით გათვალისწინებული გარანტიები;
- სისტემის ოპერატორი დაკარგავს უფლებას განახორციელოს სისტემის წესებით გათვალისწინებული უფლებამოსილება.
- კლიენტთან კომუნიკაციიდან არაუგვიანეს მეორე დღეს უნდა მოხდეს სებ-ის და დეპოზიტარის ინფორმირება საკომუნიკაციო ელ. ფოსტის საშუალებით.

კომუნიკაცია მხარეთა შორის

მხარეთა შორის ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

სისტემის გეგმიური სრული, ან მისი კომპონენტების განახლების შესახებ ინფორმაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემის შეფერხებით მუშაობა, სისტემის ოპერატორი შეტყობინების სახით მიაწვდის სისტემის მონაწილეს, NBG-ს და GCSD-ს, განახლებამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;

სისტემასთან დაკავშირებული კომუნიკაცია განხორციელდება სისტემის ოპერატორის ელექტრონული ფოსტის მისამარზე settlements@tbcbank.com.ge

შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად, შეტყობინების გაგზავნიდან მეორე დღეს.

შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას და/ან გაუქმებული იქნება მეორე მხარისათვის მიწოდებული ელექტრონული ფოსტის მისამართი;.

შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშულებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.

კონფიდენციალურობა

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამასთან, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი დაამუშაონ, მხოლოდ FXSS სისტემის წესებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

პრეტენზიები და დავები

პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია, პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან ამავე ვადაში წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს დასაბუთებული პასუხი აღნიშნულის შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტი და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები შედგენილია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობით. დავის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს, რომელიც დავას განიხილავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

სისტემაში ჩართვის განაცხადის ფორმა

კომერციული ბანკის სრული დასახელება	
საიდენტიფიკაციო კოდი	
S.W.I.F.T. კოდი	
რეგისტრაციის მისამართი	
საკორესპონდენციო მისამართი	
საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო ლიცენზიის ნომერი	
უფლებამოსილი წარმომადგენელის სახელი/გვარი და პირადი ნომერი	
საკონტაქტო პირის მობილური ტელეფონი	
ელ-ფოსტა	

უფლებამოსილი წარმომადგენელი პირის ხელმოწერა:----------

თარიღი ----------